

# ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში



“ჩემი ქმრისგან და  
მისი ოჯახისგან  
ძალადობას  
განვიცდიდი და  
17 წელი  
დამჭირდა იმის  
მისახვედრად  
რომ მსხვერპლი  
ვყავი”  
(მსხვერპლი)



ქალთა 35.9%  
მეუღლის/პარტნიორის  
მხრიდან  
განუცდა  
უონწროლის  
მიზნით  
განხორციელებულ  
ქმედება

ქალთა 78.3%-ს  
მიაჩნია, რომ  
ოჯახში  
ძალადობის  
პრობლემები  
მხოლოდ ოჯახში  
უნდა  
განიხილებოდეს.



ქონინებაში  
მყოფი ყოველი  
მე-11 ქალი  
ფიზიკური  
ძალადობის  
მსხვერპლია



“როგორც უკ  
დათვრებოდა  
ჩემი ქმარი, ცემაზე  
გადადიოდა.  
დახმარებისთვის  
ჩემს დედამთავს  
მივმართე, მაგრამ  
მან მიპასუხა, რომ  
ჩემი ბრალი იყო”  
(მსხვერპლი)



რესპოდენტთა  
უმრავლესობის  
მიხედვით, პირი,  
რომელსაც  
ძალადობა აქვს  
ჩადენილი  
ფეხმძიმე ქალს  
მიმართ, მათი  
შვილის მამაა.

„მეექვსე წელია  
ქონწინებაში ვარ და  
ჩემი ქმარი ექვსი  
წელია მცემს. მას  
ღედა და ღენი  
აქეზებენ. მის  
ოჯახსაც ხშირად  
მოუყენებია  
ჩემთვის  
შეურაცხყოფა და მე  
თავი ვერ დამიკვია“

(თავშესაფარში  
მცხოვრები მსხვერპლი)

„ჩემი ქმრისგან  
ეუბნობიყურ  
ძალადობას, ხოლო  
მისი ოჯახისგან  
ფსიქოლოგიურ  
ძალადობას  
განვიცდილი და 17  
წელი დამჭირდა იმის  
მისახვედრად, რომ  
მსხვერპლი ვიყავი“

(თავშესაფარში  
მცხოვრები მსხვერპლი)

2009 წელს გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ განხორციელდა ეროვნული კვლევა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ. კვლევა განხორციელდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მეთოდოლოგიის საფუძველზე, მოიცავდა როგორც თვისობრივ, ისე რაოდენობრივ კომპონენტებს და მასში მონაწილეობდა 2.385 ქალი ეროვნული მასშტაბით, ასაკობრივი ჯგუფი 15–49წ.

## კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ:

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ტრადიციული კულტურული ნორმებიდან გამომდინარე ოჯახი მიჩნეულია უსაფრთხო ადგილად, არსებობს დიდი განსხვავება წარმოსახვით, იდეალიზებულ ოჯახს და რეალურ ოჯახს შორის, სადაც ძალადობის პირდაპირი თუ ირიბი ფორმების შედეგად ქალები ყოველდღიურად იჩაგრებიან, ირღვევა მათი ძირითადი უფლებები თავისუფლებები.

- ქორწინებაში მყოფ ქალთა 9,1% (ყოველი მე-11 ქალი) აღიარებს, რომ გამხდარა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი მეუღლის/პარტნიორის მხრიდან;
- ქალთა 14% აღიარებს, რომ გამხდარა ემოციური ძალადობის მსხვერპლი;
- ქალთა 35% აღნიშნავს, რომ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან გამოუცდია ძალადობის სხვადასხვა ფორმები ქვეყნის კონტროლის მიზნით, აქედან ქალთა 29%-ს არ აქვს უფლება ურთიერთობა შეწყვიტოს საკუთარ ოჯახთან, ქალთა 11,6%-ს სჭირდება ქმრის ნებართვა ექიმთან წასასვლელად;
- იმ ქალთა 2,7%-ს, რომლებიც ოდესმე ყოფილან ფეხმძიმედ, გამოუცდიათ ფიზიკური ძალადობა ორსულობის პერიოდში. რესპონდენტთა უმრავლესობის მიხედვით, პირი, რომელსაც ასეთი ძალადობა აქვს ჩადენილი, მათი შვილის მამაა;
- ქალთა 50% ფიქრობს, რომ ცოლი ქმარს უნდა უკერებდეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ეთანხმება;

- ქალთა 34.1% ქმრის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებად მიიჩნევენ;
- ქალთა 16.0% ფიქრობს, რომ ცოლის მოვალეობაა ქმართან სქესობრივი კავშირი ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ მომენტში თავად ეს არ სურს.

კვლევამ ცხადჰყო, რომ ქალთა დიდი ნაწილი ოჯახში ქალის ჩაგვრას ბუნებრივ, მისაღებ მოვლენად მიიჩნევენ. ამასთან, ქალები უფრო გახსნილად საუბრობენ ძალადობის იმ ფორმების შესახებ, რომლებიც სოციალურად მისაღებია (მაგ. კონტროლი) და ცდილობენ დამალონ სიმართლე, როდესაც საქმე ფიზიკურ ან სექსუალურ ძალადობას ეხება. არსებული სოციალური ტაბუსა და სტიგმის გამო ქალებს უშინიათ ან რცხვენიათ ამ თემაზე ხმამაღლა საუბარი.

კვლევები ადასტურებს, რომ რეალურად ქვეყანაში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გაცილებით დიდი რაოდენობა არსებობს.

ქალთა 78,3% მიიჩნევენ, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახური პრობლემაა და მისი ოჯახს გარეთ გატანა დაუშვებელია.

ქალების 27,8% არავის უზიარებს ოჯახში ძალადობის პრობლემებს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ქალების მესამედი მართლ ართმევენ თავს ოჯახში ძალადობას და უახლოეს ადამიანებსაც კი (ოჯახის წევრები, შშობლები, მეგობრები) უმაღლავს ამ პრობლემას. ქალების საკმაოდ დიდი ნაწილი ეძებს დახმარებას ახლობლების წრეში (შშობლები, მეგობრები, მეზობლები, მოძღვარი) მაგრამ ვერ იღებს

საქართველოში 2006 წლიდან მოქმედებს კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ, რომელიც სახელმწიფო რეგულირების ქვეშ აქცევს ოჯახში ძალადობის ფაქტებს და აწესებს მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებს.

„ქმარი ცოლის ხელს ცემდა, თუმცა მეორე დღეს სრულად აღვკლებიდა და ცდილობდა ცოლის ყველა სურვილი შეესრულებინა... ისინი ძალიან ცუდილად ცხოვრობდნენ“

(ფოკუს ჯგუფი, თელავი)

„ჩვენი ქალები ფსიქოლოგიურ ძალადობას ვერ აღიქვამენ ძალადობად. ისინი ფიქრობენ, რომ ეს ბუნებრივია, ვიღაც ფსიქოლოგიურად უნდა დომინირებდეს ოჯახში“

(მომსახურების მომწოდებელი, თბილისი)

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მოქმედებს რამოდენიმე თავშესაფარი, სადაც ხდება მათთვის იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სოციალური დახმარების აღმოჩენა. მიუხედავად ამისა, ქალები იშვიათად მიმართავენ სოციალურ ინსტიტუტებს დახმარებისათვის: ქალთა მხოლოდ 2% მიმართავს პოლიციას, ხოლო ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავს მხოლოდ 1%.

საგულისხმოა, რომ ძალადობის სხვადასხვა ფორმების გავრცელება მჭიდრო კავშირშია განათლების დონესთან. რაც უფრო დაბალია ქალის განათლების დონე, მით უფრო მაღალია ალბათობა, რომ ქალი ძალადობის მსხვერპლი გახდეს. მაგალითად, ქალები რომლებსაც აქვთ არასრული საშუალო განათლება (60%) უფრო ხშირად ექცევიან ქმრის კონტროლის ქვეშ, ვიდრე ქალები, რომლებსაც აქვთ სრული საშუალო, პროფესიული ან უმაღლესი განათლება (35%).

ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლების დარღვევაა და უშუალო გემოქმედებას ახდენს ქალის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ძალადობას უარყოფითი გავლენა აქვს სოციალურ კეთილდღეობაზე, ბავშვებზე, ოჯახებსა და საზოგადოებებზე.

თითოეული ქალის უფლებაა იცხოვროს ღირსეულად და უსაფრთხოდ და უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო საკუთარი შვილებისა და ოჯახისათვის.

*ენიოს დღევანდელი ოჯახში ძალადობა!*